ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6380632

ნომერი: AR1953274

თარიღი : 06.03.2023

გაცემის თარიღი : 22.03.2023

გაცნობის თარიღი : 22.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოგდან ხმელნიცკი , N 8-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი N2; ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი N4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ღვინიაშვილი პ/ნ 13001004837
- გურჯაანი. ჩალაუბანი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის№6239562 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 06 მარტის №AR1953274 განცხადებით მომართა ზაზა ღვინიაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6239562 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, მიწის ნაკვეთზე დადგენილი განაშენიანების რეგულირების (უკანა ეზოს) ხაზის გაუქმებასთან

დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6239562 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, საკადასტროკოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე: N01.17.11.026.125 (722 კვ.მ.), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდამიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენებისპირობები. აღნიშნულიპირობებით საზოგადოებრივი სივრცე განისაზღვრა მიწისნაკვეთის სამხრეთით და აღმოსავლეთით არსებული გზების მხრიდან, ხოლო მის მოპირდაპირედ დადგინდა განაშენიანების რეგულირებისხ ხაზი უკანა ეზოსთვის.

წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6239562 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. კერძოდ, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით დადგენილი განაშენიანების რეგულირების (უკანა ეზოს) ხაზის გაუქმება.

საქართველოსსივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული დასამშენებლო საქმიანობისკოდექსის 103-ემუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენებისპირობებში უნდაისახოს საქართველოს კანონმდებლობით სანებართვო დოკუმენტაციის შემუშავებისთვის დადგენილი მოთხოვნები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6239562 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოსსივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული დასამშენებლო საქმიანობისკოდექსისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6239562 ბრძანებითდამტკიცებულ მიწისნაკვეთის სამშენებლოდგამოყენების პირობებში. კერძოდ: დაკორექტირდეს განაშენიანების რეგულირების (უკანა ეზოს) ხაზი.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6239562 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განახლებული განაშენიანების რეგულირების (უკანა ეზოს) ხაზის დანართი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6239562 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.